MES 3 23 0001460129

30/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია- შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა:**
ნაზი თათანაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

2. **სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლა:**
ჯუნა ცხოვრებაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

3. **სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა:**
ირმა ტატიშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა:**
ნინო ბულია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

5. **სსიპ - ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა:**
თამარ აბულაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

6. **სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა**
ია ბერაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

7. **სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლა**
ნინო გოშაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლა:

ა) ირინა დვალი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნანა გიორგობიანი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) მანანა ჭიკაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თამარი მურუსიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
თ) მაია სიხარულიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ი) ელენე ბეთლემიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლა:

ა) გიორგი მომცელიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) მაკა ნადარეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ლაურა ჯიმშელეიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნინო ბურჯანაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ლედი კუთხაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ხათუნა რუსიეშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თეონა შერაზადიშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია ბალხამიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლა:

ა) ლელა ბუბაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ნინო მიდელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ეთერი ბროლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ნინო გულმაგარაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ნათია ქათამაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ნანა ჩავლეიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია კოხოძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლა:

ა) ქეთევან ბოტკოველი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ია ღლონტი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ლარისა ჯაფარიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მანანა სეხნიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ინგა გელაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ნათია მაკრახიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) მარიამ ღუბელაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ნანი სალია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა:

ა) თამარ ჯაფარიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ეთერი ბროლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ნანა შამუგია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ქეთევან ლარცულიანი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ვალერიანე ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ქეთევან პარუნაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) როლანდი ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთის საჯარო სკოლა:

ა) ლიკა ხვედელიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ვერა მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ეკატერინე მიქაუტაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) მეგი ტალახაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) ხათუნა წიკლაური - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ინგა ხრიკაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) ავთანდილ ცნობილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ევგენი გუგულაშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლა:

ა) ნესტან სიხარულიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
წევრები:
ბ) ვარდენ ნიქაბაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;
გ) ირმა შალიკიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
დ) ხათუნა ჯიმშიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ე) მარიამ კუჭუხიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ვ) ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ზ) თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
თ) ნატო კვეტენაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
ი) ირმა შველიძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ლ) ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 /ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე - 17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 16 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით, სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე- 20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ვახტანგ პაპუნიძის სახელობისდაბა ქედის საჯაროსკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. სსიპ - ოზურგეთისმუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთისსაჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
7. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ირინა დვალმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 აგვისტოს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე, კერძოდ ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარში და ამავე მუნიციპალიტეტის სოფელ სამწევრისში.
დაწესებულება სოფელ კეხიჯვარში არსებულ შენობაში ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო დაწყებითი საფეხურის ორი კლასკომპლექტისთვის სწავლება მიმდინარეობდა სოფელ სამწევრისში. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 400 მოსწავლეს.
ექსპერტმა, ირინა დვალმა, წარმოადგინა სკოლის ორივე შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ შენობა, რომელიც სოფელ კეხიჯვარში მდებარეობდა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2017 წელს პროექტ - „მილენიუმის“ფარგლებში. ხოლო სკოლის მეორე შენობა რეაბილიტირებულ იქნა 2018 წელს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარ ინტერვიუები და გამოკვეთა რიგი საჭიროებები.ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად

შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს,“ ვინაიდან, კომპონენტი 2.2 ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასამეტწილ შესაბამისად. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან კომპონენტები: 3.1, 3.4 და 3.6 შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ხოლო მეოთხე სტანდარტის ორივე კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისობაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომლებიც შეფასდა მეტწილშესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა უცხოური ენების საგნობრივ ექსპრტს და სთხოვა აეხსნა, რა თავისებურებებით გამოირჩეოდა კლასკომპლექტების ფარგლებში სწავლება.
უცხოური ენების საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო ბურჯანაძემ, აღნიშნა, რომ სკოლამ წარმოადგინა კურიკულუმები, რომლებიც სათანადოდ იყო შედგენილი, თუმცა არ მოიცავდა სწავლების განსხვავებულ მიდგომებს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა მესამე სტანდარტის კომპონენტებით - 3.1, 3.4 და 3.5-ით გათვალისწინებული დოკუმენტაციით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა, დაეზუსტებინა, რა ეტაპზე იყო საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების, ასევე სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვების საკითხი..
სკოლის დირექტორმა, ნაზი თათანაშვილმა, აღნიშნა, რომ პროცესები დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა, კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა ორივე შენობისთვის უკვე გაგზავნილი იყო შესათანხმებლად.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე, არ იყო ასახული საკმარისი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ წარმართავენ მასწავლებლები სასწავლო პროცესს. მან ასევე კითხვით მიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, გამოიკვეთა თუ არა გასაუბრების შედეგად მასწავლებელთა მზაობა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვასთან დაკავშირებით.
მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, თამარ მურუსიძემ, აღნიშნა, რომ პედაგოგებს ჰქონდათ მწირი გამოცდილება დოკუმენტაციის შემუშავების მიმართულებით, თუმცა გასაუბრებისას მკაფიოდ წარმოჩინდა მათი ცოდნა და მზაობა.
ნატო გაბოშვილმა აღნიშნა, რომ მეათე კლასის მათემატიკის კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და სამიზნე ცნებები არ იყო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი და საჭიროებდა განვითარებას.
საუბარში ჩაერთო საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, რომელიც დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ვერიფიკაციის მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი. პასუხად, ირინა დვალმა განაცხადა, რომ სკოლას ვიზიტის დროს არ ჰქონდა წარმოდგენილი ვერიფიკაციის მექანიზმის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა ეს უკანასკნელი შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოდგენილიქნა ცენტრში ვიზიტის შემდგომ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ - ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და უსაფრთხოების არარსებობის გამო, მიზანშეწონილად არ მიიჩნია შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ კეხიჯვარის საჯარო სკოლის (ს/კ:240890862) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწევრისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწევრისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი კეხიჯვარი ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწევრისი

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ოქტომბრიდან;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** ადგილზე ვიზიტი (მეორე სტანდარტი);
- **მონიტორინგის ფარგლები:** მეორე სტანდარტი, მესამე სტანდარტის - 3.1; 3.4 კომპონენტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში.

2. სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მომცემლიძემ. მან განაცხადა, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 აგვისტოს. ექსპერტის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარ ინტერვიუები და გამოკვეთა რიგი საჭიროებები. ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მოცემული სტანდარტის 3.4 კომპონენტი კი შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხება მეორე და მეოთხე სტანდარტებს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრულ შესაბამისად.
ექსპერტმა განმარტა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წამოადგინა სკოლის შენობა-ნაგებობის ამსახველი ფოტო-მასალა და ხაზი გაუსვა, დაწესებულების მხრიდან მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს არსებობას. მოსწავლეები იყენებდნენ სკოლის ეზოში არსებულ ცაცხვის ხეების ფოთლებს, რომლისგანაც მათ შექმნეს ბრენდი და აწარმოებდნენ ჩაის.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, მიმართა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და სთხოვა დაეზუსტებინა, ატარებდნენ თუ არა მასწავლებლები ინტეგრირებულ გაკვეთილებს.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის, ლაურა ჯიმშელეიშვილის თქმით, სკოლაში ტარდებოდა ინტეგრირებული გაკვეთილები შემდეგ საგნებში: ფიზიკა-ბიოლოგია და ფიზიკა-ქიმია, აღნიშნულთან დაკავშირებით მასწავლებლებს მიეცათ რჩევა,

განხორციელებულიყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების ინტეგრირება სხვა საგნებთან, კერძოდ, ხელოვნებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა რომ სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთ სუსტ მხარედ მოხსენიებული იყო პერსონალის მიერ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების სიმცირე და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, რაში მდგომარეობდა პრობლემა, კერძოდ, ტექნოლოგიურ აღჭურვილობაში, თუ პერსონალის მიერ მისი გამოყენების შეუძლებლობაში.
სკოლის დირექტორმა, ჯუნა ცხოვრებაძემ, აღნიშნა რომ პერსონალი არ ფლობდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარებს, რასთან დაკავშირებითაც სკოლას უკვე შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული გეგმა და თანამშრომელთა ადგილზე გადამზადების გადაწყვეტილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საგნობრივ ექსპერტებს, მიეწოდებინათ საბჭოსთვის მეტი ინფორმაცია კურიკულუმებთან დაკავშირებით.
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის, ხათუნა რუსეიშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გადმოგზავნილი დოკუმენტაციის პირველად ვერსიებში ჰქონდა გარკვეული ხარვეზი, შესაბამისობის გეგმასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმები ყველა კლასისთვის, რომლებიც შეესაბამებოდა სტანდარტებს. ამავე ექსპერტის განმარტებით, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ არ ჰქონდათ რაიმე სახის დაბრკოლება სწავლა-სწავლების პროცესში.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ლაურა ჯიმშელეიშვილმა დაადასტურა, რომ მასწავლებლებმა გამოხატეს მზაობა, გაეუმჯობესებინათ და ასევე დაეხვეწათ კურიკულუმები და სასწავლო მიზნებისთვის გამოეყენებინათ ყველა საჭირო რესურსი.
სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, თეონა შერაზადიშვილმა დასძინა, რომ კურიკულუმებში გაწერილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი მიზნები, ცნებები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. ექსპერტის განცხადებით, სახელმწიფო ენის კათედრას ჰქონდა შესაძლებლობა, სრულყოფილად განეხორციელებინა კურიკულუმი.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა, მეორე სტანდარტის მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრთა უმრავლესობამ არ გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა, ვინაიდან საგნობრივი ექსპერტების განმარტებები საფუძველს უქმნიდა საბჭოს, სკოლას მინიჭებოდა ავტორიზაცია მეორე სტანდარტის მონიტორინგის გარეშე.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ - ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა და უსაფრთხოების არარსებობის გამო, მიზანშეწონილად არ მიიჩნია შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლას (ს/კ:240890791) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბებნისი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბებნისი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბებნისი

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოედგინილი იქნას მესამე სტანდარტის 3.4 კომპონენტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

3. სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლელა ბუბაშვილმა. მან განაცხადა, რომ სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ბებნისის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 29 და 30 აგვისტოს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის ახალ დასახლებაში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1700 მოსწავლეს.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარა ინტერვიუები და გამოკვეთა რიგი საჭიროებები.ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 3.4 და 3.5 კი შეფასდა მეტწილად შესაბამისად. რაც შეეხება მეორე და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრული შესაბამისობით.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილშესაბამისად, ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებდნენ სკოლის ფინანსური და მატერიალური რესურსებით მხარდაჭერას. მან დასძინა, რომ სკოლა უზრუნველყოფილი იყო უწყვეტი ინტერნეტით, გამართულად მუშაობდა Wi-Fi სისტემა. სტრატეგიული განვითარების გეგმაში დაწესებულებას ასახული ჰქონდა პრიორიტეტები STEM საგნების გაძლიერების მიმართულებით. ექსპერტის განცხადებით, დირექტორმა ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაგეგმილი იყო სკოლის აღჭურვა კომპიუტერებით. ამავე დროს, ახალ სასწავლო წლამდე სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსგან მიიღებდა 29 კომპიუტერს, 5 პროექტორსა და 3 პრინტერს.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრი თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა რა აქტივობების განხორციელებას გეგმავდა დაწესებულება STEM-საგნების გაძლიერებისთვის.
სკოლის დირექტორმა, ირმა ტატიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა კომუნიკაცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, ვირტუალური ლაბორატორიის პროექტთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, სკოლა შერჩეული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კუთხით რეგიონის საბაზისო სკოლად. აღნიშნულის ფარგლებში, ქიმიის მასწავლებელიესწრებოდა ტრენინგებს. დირექტორის განმარტებით, მოცემული პროექტები და საჭირო ტექნოლოგიებით აღჭურვა სკოლას მისცემდა შესაძლებლობას განვითარებულიყო STEM-ის მიმართულებით.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა სკოლის არაფორმალური განათლებით და დირექტორს სთხოვა დაესახელებინააქტივობები ამასთან დაკავშირებით.
დაწესებულების დირექტორმა, ირმა ტატიშვილმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ რამდენიმე პროექტი ახალი სკოლის მოდელის მიმართულებით, მაგალითად: „თქვი, არჯაკელო ხვიარა, ქსანზედ ვინ ჩამოიარა“, „სასწაული საფულეში“, რომელიც ფინანანსური წიგნიერების

(მეწარმეობა) გაზრდის მიზნით იყო დაგეგმილი. ასევე პროექტები და სპექტაკლი განხორციელდა გიორგი ერისთავის სახლმუზეუმში. სკოლის დირექტორის განცხადებით, დაწესებულება აპირებდა განეხორციელებინა ახალი პროექტები, მათ შორის, „აჩუქე წიგნი სკოლას“, რომელშიც ჩაერთვებოდა თემი და სასკოლო საზოგადოება.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტაცია და აღნიშნული პრაქტიკის შედეგები.
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, მარგარიტა წეველიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა ურთიერთდასწრების პროცესი, რაც ხელს უწყობდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და ეხმარებოდა სიახლეების დანერგვაში. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებდნენ ცოდნას, გამოცდილებას და ითვალისწინებდნენ ერთმანეთის რეკომენდაციებს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1700-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ - ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის N3 საჯარო (ს/კ:236098138) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1700- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, წეროვნის ახალი დასახლება

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, წეროვნის ახალი დასახლება
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, წეროვნის ახალი დასახლება

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოდგენილ იქნას მესამე სტანდარტის 3.4 და 3.5 კომპონენტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ჯაფარიძემ. მან განაცხადა, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზუგდიდში, აღმაშენებლის N1-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1400 მოსწავლეს. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკოლამ ცენტრში წარმოადგინა შუამდგომლობა, რომლითაც მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა 1800 მოსწავლემდე.

ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელდა ადგილზე დათვალიერება, ჩაატრა ინტერვიუები და გამოკვეთა რიგი. ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კომპონენტები - 3.1, 3.4 3.5 და 3.6 შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხება მეორე და მეოთხე სტანდარტს, ექსპერტთა ჯგუფმა ორივე სტანდარტის ყველა კომპონენტი შეაფასა სრულ შესაბამისად.

თამარ ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილშესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა პრეზენტაციის ფარგლებში წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ორი შიდა და ერთი გარე სპორტული მოედანი, საკონფერენციო დარბაზი და ორი კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლა იყო სრულად ადაპტირებული და აქტიურად ხორციელდებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიების გამოყენება.
ექსპერტის განცხადებით, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, არაფორმალური განათლების ძლიერ მხარეები და განმასხვავებელი თავისებურება. სკოლაში ფუნქციონირებდა არაერთი კლუბი, მოსწავლეთა თვითმმართველობის საბჭო ორგანიზებას უწევდა და ახორციელებდა მრავალ აქტივობას წლის განმავლობაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, კონკრეტულად რა აქტივობები განახორციელა სკოლამ გასული სასწავლო წლის განმავლობაში, ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით.
საუბარში ჩაერთო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ნინო ბულია, რომელმაც განაცხადა, რომ სკოლამ სამოქალაქო განათლების მიმართულებით განახორციელა პროექტი „არა ქალთა ძალადობას“. მასშისკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩართული იყო რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოიძიეს მასალები, ჩაატარეს ინტერვიუები მოსახლეობასთან და გამოიტანეს საინტერესო დასკვნები. დირექტორის მოვალეობის განცხადებით, სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა „ეკო“ კლუბი, „ქიმიკოსთა“ კლუბი და „მეწარმოების კლუბი“.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეკონკრეტებინა, არსებობდა თუ არა სტანდარტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, რომელიც სკოლას ჯერ კიდევ არ ჰქონდა შემუშავებული.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო ბულიამ განაცხადა, რომ მათ ყველა დოკუმენტაცია მოიყვანეს შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. ასევე აღნიშნა, რომ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სკოლას არ ჰყავდა ექიმი, ვინაიდან გამოცხადებულ ვაკანსიებზე არ იყო გამოხმაურება, თუმცა ბოლო კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი ორი კანდიდატიდან შეირჩა ერთი და მიმდინარეობდა მისი დანიშვნის პროცედურები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლას (ს/კ:219985746) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1800- ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ზუგდიდი; აღმაშენებლის N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ზუგდიდი; აღმაშენებლის N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ზუგდიდი; აღმაშენებლის N1

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია: ცენტრში წარმოდგენილი იქნას ექიმის დანიშვნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. სსიპ- ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის გ ანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ

მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა. მან განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 04 და 05 ივლისს. სკოლა ქედის მუნიციპალიტეტის დაბა ქედაში, წერეთლის ქ. N4-ში ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ხოლო სოფელ გულებში დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 600 მოსწავლეს.

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება, ჩაატარდა ინტერვიუები და გამოკვეთა რიგი საჭიროებები. ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომელთა შეფასებაც სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციისა და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტის კომპონენტები - 3.1, 3.3 და 3.4 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლაში დასაქმებული პედაგოგებიდან 29 იყო უფროსი, 11-წამყვანი, 1- მოწვეული და 1 - პრაქტიკოსი მასწავლებელი.

სკოლაში ინახებოდა თითოეული მასწავლებლისა და ტექნიკური პერსონალის პირადი საქმე, რომელშიც წარმოდგენილი იყო საკადრო აღრიცხვის ფურცელი, პირადობის ასლი, სტატუსის დამადასტურებელი თუ სხვა სერტიფიკატები, ცნობები სხვადასხვა ტრენინგ-კურსის გავლის შესახებ, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. ექსპერტის თქმით, მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების მიზნით, სკოლაში შექმნილი იყო მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის 2 ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდებოდა დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილი იყო ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექცია და კათედრები ახორციელებდნენ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას, ხდებოდა უკუკავშირის მიცემა, კათედრაზე ხდებოდა ერთობლივი გაკვეთილების დაგეგმვა-განხორციელება, რაც ასახული იყო კათედრების სამუშაო გეგმებში.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, სკოლაში შექმნილი ხარისხის ჯგუფი ხელს უწყობდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მიზნით USAID-ის პროგრამის ფარგლებში გადამზადებული იყო დაწყებითი კლასების 5 მასწავლებელი, რომლებიც

აქტიურად უზიარებდნენ გამოცდილებას თავიანთ კოლეგებს. 2023 წლის მარტის თვეში ინგლისური ენის მასწავლებლის ინიციატივით სკოლა დარეგისტრირდა e-Twinning–ის პორტალზე, ხოლო მომდევნო 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავდა, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში ჩართვას. ექსპერტის თქმით, წარმოდგენილი დოკუმენტებითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგებით დგინდებოდა, რომ სკოლა მხარს უჭერდა პედაგოგთა ჩართულობას კონფერენციებსა და სხვა მსგავს საგანმანათლებლო ღონისძიებებში. სკოლა ჯამში სარგებლობდა 7016.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და 3878.30 კვ.მ შენობა-ნაგებობის ფართით. სკოლაში ვიზიტის დროს სიით შემადგენლობაში ირიცხებოდა 430 მოსწავლე და 38 მომავალი რეგისტრირებული პირველკლასელი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლა ავტორიზაციას ითხოვდა 600 მოსწავლეზე.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა ასევე ისაუბრა სკოლის შიდა და გარე რეკრეაციულ სივრცეებზე.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ქმედითი ნაბიჯები გადადგმული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში გამწოვისა და ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდის დამონტაჟების კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, თამარ აბულაძემ განმარტა, რომ სკოლა უკვე დაუკავშირდა სსიპ- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და წლის ბოლომდე გადაიჭრებოდა აღნიშნული პრობლემა.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტს, დასკვნაში ასახულ გარემოებასთან დაკავშირებით. იგი დაინტერესებდა, რაში გამოიხატებოდა საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება და რა კვლევებს ატარებდა სკოლა ამ მიმართულებით, ასევე როგორ ახერხებდა დაწესებულება ინფორმაციის საჯაროდ გაზიარებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა სეხნიაშვილმა განაცხადა, რომ პედაგოგებს ჰქონდათ ურთიერთთანამშრომლობითი დამოკიდებულება ერთმანეთთან. საგნობრივი კურიკულუმები იმ პერიოდისთვის იყო ნაწილობრივ შესრულებული და დაწესებულებას ნიმუშის სახით ჰქონდა ასახული თითო კომპლექსური დავალება. მათ ასევე წარმოდგენილი ჰქონდათ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. სკოლა ატარებდა გამოკითხვებს და აკვირდებოდა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესს.
სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, მზიური შავაძემ განაცხადა, რომ არაფორმალური განათლების კუთხით ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის USAID-ის და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სსიპ- ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლას (ს/კ: 246755738) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა ქედა, წერეთლის ქ. N4; დაბა ქედა, სოფელი გულები
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა ქედა, წერეთლის ქ. N4; დაბა ქედა, სოფელი გულები
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა ქედა, წერეთლის ქ. N4; დაბა ქედა, სოფელი გულები

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2024 წლის ოქტომბრამდე;
- **მონიტორინგის განხორციელების ფორმა:** დოკუმენტაციის წარმოდგენა ცენტრში;
- **მონიტორინგის ფარგლები:** პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტი, მესამე სტანდარტის 3.1 და 3.3 და 3.4 კომპონენტები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა თვითაცილება სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი ატარებდა ქოუჩინგს აღნიშნულ სკოლასთან. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს ზემოაღნიშნული.

6. სსიპ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა ხვედელიძემ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 07 და 08 აგვისტოს. დაწესებულება მდებარეობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანიეთში და ახორციელებდა დაწებით და საბაზო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. დაწესებულებას სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობად დაფიქსირებული იყო 60 მოსწავლე. ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 55 მოსწავლე. ჯგუფი მიიჩნევდა, რომ სკოლაში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსისა და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო, დაწესებულებას საგანმანათლებლო საქმიანობა გაეწია 90 მოსწავლისთვის. აღნიშნულის თაობაზე სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ცენტრში შუამდგომლობა.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე, რაც გამოიხატებოდა სასკოლო ცხოვრებაში საზოგადოების აქტიურ ჩართულობაში. სკოლა ახორციელებდა მემცენარეობასთან დაკავშირებულ ისეთ სასკოლო აქტივობებს, როგორებიცაა მოცვის გაშენება, კოლხური ბზის გამრავლების ხელშეწყობა და სხვა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა, ოთხივე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ასევე ისაუბრა 3.4 ინდიკატორის შესახებ, რომელიც შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი და აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები დასკვნაში დეტალურად იყო აღწერილი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მწირი რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიით, თუ რა გავლენას ახდენდა აღნიშნული სწავლა-სწავლების პროცესზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნობრივმა ექსპერტმა, ეკატერინე მიქაუტაძემ განმარტა, რომ სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების სწავლება, მიუხედავად მათ ხელთ არსებული მწირი რესურსისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 90-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 237102176) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 90 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ჭანიეთი

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, მესამე სტანდარტთან მიმართებით, 3.4.1.1 ინდიკატორთან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მითითებული რეკომენდაციების (სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა; სკოლის ვიდეო სათვალთვალო სისტემით აღჭურვა) შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოედგინა ცენტრში 2024 წლის ოქტომბრამდე.

7. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელჩიხის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 14 და 15 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩიხაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 400 მოსწავლე.
ექსპერტმა ყურადღება გაამახვილს სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე, კერძოდ, ისაუბრა სკოლის ჩართულობაზე პროფესიული განათლების მიმართულებით. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლას გაფორმებული ჰქონდა მომორანდუმი პროფესიულ კოლეჯ „იბერიასთან“. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მოსწავლეები ეუფლებოდნენ სხვადასხვა პროფესიებს.
ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.4 მეტწილად შეესაბამებოდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ექსპერტმა, ნესტან სიხარულიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა ყურადღება გაამახვილა სკოლის მიერ პროფესიულ სასწავლებელთან გაფორმებულ მემორანდუმზე და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში გაიცემოდა თუ არა სერტიფიკატები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნინო გოშაძემ განაცხადა, რომ სკოლასა და აღნიშნულ პროფესიულ სასწავლებელს შორის განხორციელებული თანამშრომლობის შედეგად, მოსწავლეები ეუფლებოდნენ სხვადასხვა პროგრამებს და იღებდნენ სერტიფიკატებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიხის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელი ჩიხის საჯარო სკოლას (ს/კ : 239403917) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩიხა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩიხა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩიხა

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას მიეცა რეკომენდაცია 2024 წლის ოქტომბრამდე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოედგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია: დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 19:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა